

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე

მოგახსენებთ, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

ჩვენი ფრაქცია დაფუძნდა 2015 წლის 1 აპრილს, 3 წევრის შემადგენლობით, წევრებია: თეიმურაზ ბურჭულაძე(ფრაქციის თავმჯდომარე) ვახტანგ ნიჟარაძე,(ფრაქციის მდივანი), წევრი ხვიჩა წულაძე, ფრაქცია, რომელიც არის საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, განსაზღვრული ამოცანების ერთობლივი გადაწყვეტისა და საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ასევე ვარ საქართველოს კონსერვატიული პარტიის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ჩვენი მიზნები და ამოცანებია:

- საკრებულოს მუშაობაში სვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი პოლიტიკური კურსის გამოხატვა და გატარება.
 - საკრებულოსა და მისი ორგანოების (გამგეობის) საქმიანობაში მონაწილეობა.
 - საკრებულოს საქმეების განხორციელებისას ფრაქციის შეჯერებული აზრის გამოხატვა.
- ფრაქციამ განიხილა საკითხები და სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები წარუდგინა საკრებულოს ბიუროს. საკითხები განხილულ იქნა საკრებულოში, რომელმაც ასახვა ჰპოვა შესაბამის დადგენილებებში.

ფრაქციის პირველადი ამოცანაა შევხვდეთ ამომრჩევლებს, გულთან მივიტანოთ მათი გასაჭირი. შევიმოუშავეთ ცალკე ფორმატი: „სამართლებრივ სფეროში მოქალაქეთა სოციალური დახმარების გაწევის შესახებ“. მაგალითად ვაკიჯვრისა და შემოქმედის თემის ამომრჩევლებს შევხვდით ვესაუბრეთ მათ მიერ დაყენებულ თემებზე, დავაკვალიანეთ და სწორი მიმართულებები მივეცით.

ვარ საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ საკითხთა კომისიის წევრი: სადაც აქტიურად ვმონაწილეობ.

2015 წლის 12-27 აგვისტომდე ვასრულებდი სამანდატო, საპოცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის თავმჯდომარის მოვალეობას .

განვიხილე და კანონმდებლობის შესაბამისად წარუდგინე დასკვნა ფრაქცია „ოზურგეთი და გენდერი“-ს დარეგისტრირების თაობაზე . რაზეც უარი ეთქვა და საკრებულოს ბიურომ მართებულად მიიჩნია.

მივიღეთ ერთობლივი გადაწყვეტილება, გაზიარებული იქნა ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს შენიშვნები, წინადადებები, ასევე მაგალითად: დავაყენეთ საკითხი სოფელ ვაკიჯვარში ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში ჩაბმის მიზნით, რაგბის ჯგუფის გახსნის შესახებ. როგორც გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურიდან წერილობითის გვაცნობეს: აღმასრულებელი ხელისუფლება მიზანსწრაფილად მიიჩნევს აღნიშნული საკითხის გათვალისწინებას 2016 წლის ბიუჯეტში. აქვე დავძენ იმასაც, რომ თემებში სასურველია შეიქმნას სპორტული კლუბები, ფოლკლორული წრეები. ამით მნიშვნელოვნად გამოცოცხლდება სოფლების კულტურული თუ სპორტული ცხოვრება.

ვახტანგ ნიჟარაძემ, რომელიც არის ვაკიჯვრის თემის მაჟორიტარი, სოფელს მოუგვარა წყლის პრობლემა. მანვე სოფლის ამომრჩევლებს მოუგვარა ელექტრო გამრიცხველიანების პრობლემა. მანვე 2015 წლის 15-18 სექტემბერს სოფ: ვაკიჯვარაში მოქმედი შ.პ.ს „აგია“ რომლის აწარმოებს თევზის ჯიშების გამოყვანს, დახმარება გაუწია სასმელი წყლის სათავე

ნაგებობის არხების გასუფთავებას. სოფ ფამფალეთში დაზიანებული ხიდის აღდგენას ხელი შეუწყო.

ხვჩა წულაძემ რომელიც არის შემოქმედის თემის მაჟორიტარი მის მიერ აღდგენილი იქნა ორი მინი სტადიონის განათება. მანვე ფრაქციაზე დაყენა საკითხი ახალგაზრდობის ჩაბმა ჯანსაღ ცხოვრებაში. კერძოდ, სოფლებში არ არსებობს სპორტული გუნდები, აგრეთვე ფოლკლორული წრეები, სადაც შეიძლება დაკავდეს ახალგაზრდობა. და სხვა.....

ვფიქრობთ, რომ ანგარიში უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ შესრულებულ, არამედ სამომავლო გასაკეთებელ სამუშაოებსაც. გამომდინარე აქედან აღვნიშნავ, რომ გაკეთებულზე მეტად გასაკეთებელი ბერურია. დღეს ოალიცია „ქართული ოცნება“ ძალიან ბევრი სიკეთით სარგებლობას სთავაზობს ჩვენს ამომრჩევლებს. თუმცა იმისათვის, რომ საქმე შედეგით დასრულდეს, აუცილებელია ცვლილებები, ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ განხორციელდება შედეგზე ორიენტირებული ცვლილებების გარეშე, იმ რეფორმების გატარების გარეშე, რასაც თავის არსში გულისხმობს რეალური თვითმმართველობა. მოსახლეობის ჩართულობით, მათი ინტერესების გათვალისწინებით ბევრის მოგვარება შეიძლება. ვიმედოვნებ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ხალხის ნდობაზე დაფუძნებულ, ადგილობრივი ინტერესების გატარებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, მცირედი ჩამონათვალია ჩვენი ფრაქციის მიერ განხილული, მოგვარებული საქმეებიდან. რაც საკმაოდ კარგი შედეგებით აისახა გასული წლის განმავლობაში.

ფრაქციის თავმჯდომარე

თ.ბურჭულაძე

12.01.2016